საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლევ ტოლსტოი

ლევ ტოლსტოი (1883-1945), რუსი მწერალი. დაიბადა სოფ. იასნაია პოლიანაში (ტულის ოლქი) გრაფ ნიკოლოზ ტოლსტოის ოჯახში. ადრე დაობლებულმა, იასნაია-პოლიანაში ოჯახში, მიიღო საფუძვლიანი განათლება. 1844–1847 წლებში სწავლობდა ყაზანის უნივერსიტეტში. 1851 წელს უფროს ძმასთან ერთად გაემგზავრა კავკასიაში, სადაც თერგის ოლქის ერთ-ერთ სამხედრო ბანაკში განაწესეს. იმავე წლის ნოემბერში ჩრდილო კავკასიიდან ესტუმრა თბილისს. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს სამხედრო გზამ, დარიალის ხეობამ, ინახულა გერგეტის სამების მონასტერი. თბილისში ორთვენახევარი დაყო. ზოგიერთი ცნობით, იგი ცხოვრობდა მიხეილის ქუჩაზე (ახლანდ. დავით აღმაშენებლის პროსპექტი) #54-ში. თბილისში მიიღო სამხედრო ჩინი და დაინიშნა სამსახურში. თბილისში მუშაობდა თავის პირველ მოთხრობაზე „ბავშვობა“. ლ. ტოლსტოი ეცნობოდა ქალაქის ცხოვრებას. მის ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: „თბილისი ცივილიზებული ქალაქია, რომელიც ბაძავს პეტერბურგს, ზოგჯერ წარმატებით, საზოგადოება რჩეული და დიდებულია“. ლ. ტოლსტოის პირად წერილებსა და ჩანაწერებში (1851–1853) ხშირად მოიხსენიება საქართველო და ქართველები. თბილისშივე დაინტერესდა მწერალი ჰაჯი–მურატის პიროვნებით. კავკასიელ მთიელთა მოძრაობაზე ლ. ტოლსტოის მასალებს აწვდიდნენ ი. ნაკაშიძე და ს. ესაძე. XIX ს-ის 90-იანი წლებიდან გაძლიერდა მწერლის კავშირი ქართულ ინტელიგენციასთან, მიმოწერა ჰქონდა ი. ნაკაშიძესთან, ნ. ნაკაშიძესთან, გ. დადიანთან, მ. ყიფიანსა და სხვებთან.

1910 წლის 28 ოქტომბერს (10 ნოემბერს) იასნაია პოლიანადან წამოსული ლ. ტოლსტოი გზაში, რკინიგზის სადგურ ასტაპოვოში (ლიპეცკის ოლქი) გარდაიცვალა. დაკრძალულია იასნაია პოლიანაში. მწერლის ანდერძისამებრ, მის საფლავზე არც ძეგლი და არც ჯვარი არ აღუმართავთ.